საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო
LEPL STATE EMPLOYMENT SUPPORT AGENCY

KA030684684503921

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ: (+995 32) 251 22 26; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 1505;
144 Ak. Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 22 26; Hot line: (+995 32) 251 00 26; 1505;

№ 05/1757 09 / ნოემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ მამუკა გონგაძეს

ბატონო მამუკა,

გაცნობებთ, რომ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო ახორციელებს პროცედურებს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს - ემბლემის დამტკიცების მიზნით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ შეიმუშავა ემბლემის პროექტი, რომელიც „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საჭიროებს ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან შეთანხმებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე შესათანხმებლად გიგზავნით სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახულების პროექტს და სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოს აღწერილობას.

დანართი: 1 გვერდი

პატივისცემით,

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად თამილა ბარკალაია

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა და ა.შ.) ხდება სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენების წესები, შესაძლებელია, დაზუსტდეს სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილებით.

4. სააგენტო უზრუნველყოფს „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების გატარებას.

5. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე